


საგაზეთო

საერთო უკრაინა

პარასკევი 19 სექტემბერი 2003 №177 (1948)

ფასი 50 თეთრი




გაბრიელ კატილაშვილი ფოტო

**სოსო ფრუიკა
კადრიდან გადის
რატომ იცვლებიან მფრთხელები?
იმიტომ, რომ კიდევ უეცვალონ
ორი კლუს ერთი ტურის მერე**



**ჯამბრუკა
შეაჯამა
ყავილაშვილი და
შორდანიამ ნაკრები
ისე ათამაშეს,
როგორც იცოდნენ
საუბრელი?
უცხოელი!**



გაბრიელ კატილაშვილი ფოტო

ინტერვიუ გოჩა ჯამბრუკთან იხილეთ მესამე გვერდზე

გიორგი ახვლედიანი ლონდონიდან

**კალინკა, კალინკა
სტეფანოვს ბრიჯზე
კატირება რად ტრეფოვსზე?**

ლონდონში ხმები დადის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვა ვილარა ძალიან ცნობილს სწადიაო...


...ამბობენ, ეს ოლიგარქი აბრამოვიჩზე მდიდარი და სახელგანთქმულიაო



გაბრიელ კატილაშვილი ფოტო

**კალაძის
? !
შანსი
ჩემპიონთა
ლიგის
მეორე ტური**

იხილეთ მესამე გვერდი



იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

ჯგუფი

მაკაის სარუხანი: სისოსხლე და ორი გოლი

ბაიერნი 2:1 სელტიკი
0:1 ტომასონი (57), 1:1 მაკაი (73, 86)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, რობერტ კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ (რაუ 74), სალიბამიჯი...



როი მაკაი ჩემპიონთა ლიგა დუბლით დიწყო

REUTERS მონტენაგრო

ვინაც ღამელადაც, იმანვე მიშველა — ასეა „ბაიერნის“ საქმე. გესხომებათ, წინა სეზონში მიუნხენელებს იმხანად დეპორტივოლმა...

ჩემპიონთა თასის ორი ოდინდელი მფლობელის მიუნხენური შეხვედრა საკმაოდ მოსაწყენად დაიწყო და მხოლოდ მეორე ტაიმში გახალისდა...

მაკაის დრო მოკვანებით დადგა. გამთანებელი გოლისას მან გლაზგოელთა დაცვის უღაჯობით ისარგებლა...

რომ „ბაიერნის“ უფროსობას სანანებლად არ გაუხდება პოლანდიელში გადახდილი მიუნხენელთათვის სარეკორდო 19 მილიონი ევრო...

თოფი დაბიჟანგდა, არსენ! მკვლელობა სამი გასროლით სახონბროლო მარბინსმა იანისრა

არსენალი 0:3 ინტერნი
0:1 კრუზი (21), 0:2 ჯან დერ მეიდე (24), 0:3 მარტინსი (41)
არნიმ ვერ გაიტანა პენალტი (32, მეკარე)...



თბაფები მარტინსის საგოლე მალაყი

REUTERS ლონდონიდან

„არსენალის“ არსენალში არსენ ვენგერმა „ინტერის“ დასამარცხებელი იარაღი ვერ მოძებნა. ლონდონელები უთოფო მეთოფებს ჰგავდნენ...

ვენგერმა დაცვა ვერ კიდევ სათანადოდ ვერ შეაღწა და „მეთოფეთა“ უკანა ხაზში ბზარები მყ-

სვე განდა. მარჯვენაფლანგელად ცნობილი ეშლი კოული მარცხენა ფრთაზე გზაბნეული დარბოდა...

ბაში 0:2-ზე დანიშნა, გასაკვირი არ უნდა იყოს. ანრი, როგორც წესი, გადამწყვეტ მომენტში თერთმეტმეტრიან დარტყმას აფუჭებს და ეს ჩემპიონთა ლიგაში მესამედ დაემართა...

დიანამო 2:0 ლოკომოტივი
1:0, 2:0 რინკონი (83, 90)
დიანამო: შოკოკვიციანი, ფიოდოროვი, დმიტრი...

გუნდის ექიმებს უღრმესი მადლობა გადაუხადა. დასტაქტებმა ბრაზილიელი ლეგიონერის, დიოგო რინკონის გამოკეთება სწორედ რომ დროულად შეძლეს...

ლდის სიტყვებია — გამარჯვებას ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ფრეც კი წარუმატებლობა იქნებოდა“

პიცფელდმა მართლაც ძალიან ინერვიულა. ნამატჩევის ოლივერ კანი გამოტყდა, შესვენებისას, გასახდელში მწვრთნელი საკუთარ თავს არ ჰგავდაო.

ისე, კანმაც იყოჩაღა, ზედ შესვენების წინ ბალდეს ურთულესი ბურთი აუღო.

გერმანელთა სიხარულს შოტლანდიელთა მენეჯერი მარტინ ონილო, ცხადია, ვერ გაიზარებდა: „ჩვენი ფეხბურთელების თამაშით ვამაყობ, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი ლოგიკური არ არის. ამ დღეებში დავსხდებით და საკუთარ თავს ვეტყვი, კიდევ რა უნდა გავაკეთებინა მიუნხენში გასამარჯვებლად“

ლიონი 1:0 ანდერლახტი

1:0 ჟინიო (26)
ლიონი: კუბე, დეფლანდრე, ედმონსონი, მიუნლი, რეველიერი, დიარა, ეხიერი, ფონინი...

ჩვენს კარში ფრიად საეჭვო პენალტი დანიშნესო. „მსაჯი აშკარად შეცდა, ჩვენს მეკარეს სიდნეი გოუუს წინააღმდეგ არ უუხეზია. პირიქით, გოუუ უუხეზი დანიულ ზიტკას ჩვენ კარგად ვერ ვითამაშეთ და ბევრი წუნიც გვქონდა, განსაკუთრებით ტექნიკაში, მაგრამ ნაღდად არ უნდა დავმარცხებულიყავით“

26-ე წუთზე სიდნეი გოუუმ გრძელი პასი მიიღო და საჯარიმო მოედანში მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა. ბელგიელთა ჩეზი მეკარე, როგორც წესია, მის შესაგებებლად გაიქცა და ფეხებში იმ წამს ჩაუვარდა, როცა ფორვარდი საბოლოო დარტყმას აპირებდა. მატჩის პორტუგალიელი არბიტრი პაულუ მანუელ გომეშ კომტა ერთხანს შეყოყმანდა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღება გაუჭირდა და როცა მიიღო, ხელი პენალტის ნიშნული-სკენ გაიშვირა. დარტყმა უნინიომ ითავა და გაიტანა. ეს გოლი შეხვედრაში ერთადერთი, ანუ „ლიონის“ გამარჯვებისა გამოდგა.

საინტერესოა, რომ „ლიონმა“ საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ სამი მოუგებელი მატჩის მერე ამ სეზონში პირველად იმარჯვა, ხოლო „ანდერლახტისთვის“ 2003 წელს ეს ოდენ მეორე მარცხი გამოდგა.

Table with 5 columns: Team, W, D, L, Goals For, Goals Against. Rows for Bayer, Lyon, Anderlecht, Celtic.

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. I ტური

მორიენტის ნახევარი თავი

ამჟამად 11 დანარჩენი
01 პანდინი (12), 11 ცარტასი (89)
ამა ხოლმე, ბონობოკი, კოსტინოლოვ...

ლებს უკვე პირველი ხუთი წუთის
განმავლობაში საქმე თავზე საყ-
რელად ჰქონდათ — ჯერ ვალე-

ჩემპიონთა ლიგის მატჩების ჩათ-
ვლით) ამ პრესტიჟულ ტურნირზე
უკვე ზედმედ მეშვიდედ დაუზა-



„მონაკოს“ მეგობრები: ელუარდ სისე და ფერნანდო მორიენტესი

ვები ოდნავ შესუსტდა და მომხ-
დურმა გალებმა კონტრდარტემე-
ბისთვის მოიკალეს — გივეს ძლი-

პლაშიანუზის გაპარჯვება
ოცდაერთი წლის ნანახრი გოლი



ჩირო ფერარას გატანული გოლი თავდაცვით გაუკვირდა

იუვენტუსი 2:1 ზალატისარაი
10 დედ პიერი (5), 11 პაქან შუქური (19),
21 ფერარა (73)
იუვენტუსი: ბულონი, ტურამი, ფერარა, მო-

იგი ალესანდრო დელ პიეროს ოს-
ტატურად ჩაწოდებულ ჯარიმას გა-
მოიხმარა და ოსტატურადვე და-

მოუხდევად, ტურინელმა „პარა-
დი“ ვერ მოაწყვს, ხოლო ცნობილმა
ჰაქან შუქურმა რვა წუთის შემდეგ

სოსიდადი 1:0 ოლიმპიკოსი
10 კოვაცევიჩი (80მ)
სოსიდადი: ვესტერველდი, ლოპეს რიკარტე,
საურეგი, შურერი, არანსაბალი, კარპინი,

ამი გზები გადაუკეტეს და შეტე-
ვების განვითარებაში ხელი შეუ-
შალეს, მაგრამ თავის წილ ბევრი

სარგებელი

საუკეთესო პროგნოზის კონკურსი „ფახური 2003-2004“

საუკეთესო პროგნოზის კონკურსი „ფახური 2003-2004“-ის დასრულება და გამარჯვებულთა განცხადებით

Registration form for the forecasting competition. Fields include name, address, phone number, and a deadline of 19.09.03.

Table with 8 columns: Date, Time, Forecast, and Winner. Lists various weather forecasts and their corresponding winners.

Table with 8 columns: Date, Time, Forecast, and Winner. Continues the list of forecasts and winners.

ყურადღებამ საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 20 სექტემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტიამში“ და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 20 სექტემბერს)

პირველი ეტაპის კალენდარი

Calendar table for the first stage of the competition. Lists dates and corresponding forecast topics.

Table titled 'დაწესებული პრემია' (Established Prize) showing prize amounts for different forecast accuracy levels.

Table titled 'აუსტრია' (Austria) listing various weather forecasts and their winners.

Table titled 'ინგლისი' (English) listing various weather forecasts and their winners.

Table titled 'უსაგანო' (Honorary) listing various weather forecasts and their winners.


Detailed text providing rules, regulations, and results for the forecasting competition. Includes sections on prize distribution and contact information.

Advertisement for 'რეკლამა სარბიელში' (Advertising in the city) with contact details: Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80.

თსუ ყველაფერი კარგად იქნა, სხვაზე იკითხონ

საყვარელია უცხოეთაშინ სტუდენტები იქნება

გვარიანად მოძლიერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ცენტრმა კახა შენგელიამ თსუ-ს ხელმძღვანელობასთან საბოლოოდ გამოიხატა საერთო ენა და დღეს კონტრაქტსაც გააფორმებს. სტუდენტურ მაისურას მოიხრებებს სლოვაკეთში ნაყოჩაღევ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დავით საყვარელიძეც, რომელიც უცხოეთში სწორედ ნაკრებში მიღებული ტრავმის გამო ვერ წავიდა



დავით საყვარელიძე

„ბასკოლან“ წამოსვლის შემდეგ ხმები დაიწყო, შენგელია თსუ-ში ითამაშებსო, მაგრამ გუშინდელამდე არაფერი იყო გარკვეული. კახა ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობდა სტუდენტებთან და კლუბის ხელმძღვანელობისგან ხეირიან წინადადებას ელოდა. „გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ თსუ-ში ვითამაშებ. მთლად ყველაფერზე ვერ არ გვილაპარაკია, მაგრამ მხოლოდ ნიუანსებიღაა შესათანხმებელი. დღეს ყველაფერს დაეჯინებ და ხვალ კონტრაქტსაც გააფორმებთ“ — გვითხრა გუშინ კახა შენგელიამ.

შენგელია საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე ზორბა ცენტრია. მას უცხოური გამოცდილება უმაგრებს ზურგს და სტუდენტებს რომელთაც მეფარის პრობლემა ჰქონდათ, ერთობ გამოადგებათ. შენგელიას წლეულსაც შეეძლო უცხოეთში წასვლა, მაგრამ საქართველოში დარჩენა არჩია. „პრობლემა არ იყო, რომელიმე უცხოურ კლუბში თავისუფლად გადავიდოდი, მაგრამ სამშობლოში, ოჯახთან ერთად მივსვლი. მარტანაც გადაწყვეტილი იყო ჩემი ლიბანში თამაში, მაგრამ კონტრაქტის გაფორმებაზე რომ მიდგა

საქმე, უარი ვთქვი, პატარა აღარ ვარ, შედარებით მცირედზეც დაეყაბულდები, ოღონდ შინ ვიყო“ — ამბობს შენგელია. სტუდენტთა მეორე ახალწვეული, დავით საყვარელიძეც არაა ურიგო კალათბურთელი. ბოლო ჩემპიონატში ის თინეიჯერულ „კა-დემას“ ლიდერობდა, გუნდს, რომელმაც სწორედ საყვარელიძის ძალისხმევით დაამარცხა „დინამო“, თსუ და სხვა წვრილ-წვრილი კლუბები. საყვარელიძემ წინა სეზონის პირველი ნახევარი ერთ-ერთი ამერიკულ კოლეჯის გუნდში გაატარა ვიქტორ სანიკიძესთან ერთად, მანამდე კი ბათუმის „ბასკოში“ თამაშობდა და შედეგიანდაც. ისევე როგორც ფრანგულ „ლიონში“ გადასულ სანიკიძეს, საყვარელიძესაც უცხოურ კლუბში უნდა გაეგრძელებინა კარიერა, მაგრამ ჭაბუკთა ნაკრებში სლოვაკურ ევროსაკვალიფიკაციოზე მიღებული მუხლის ტრავმის გამო ჩაიშალა მისი სლოვენურ „ოლიმპიაში“ ტრანსფერი. ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ საყვარელიძემ ამ დღეებში განაახლა ვარჯიში და თსუ-ს ხელმძღვანელებსაც გაურიგდა... „უცხოეთში წასვლის იმედი ჯერაც არ დამიკარგავს, მაგრამ ტრავმის გადამკიდვე ამას როდის მოვახერხებ, ვერ არ ვიცი. მანამდე კი თსუ-ში ვითამაშებ, ისეთ კონტრაქტს გამიფორმებენ, უცხოური კლუბი რომ გამოჩნდეს, დაუბრკოლებლად წავალ. ფეხი თითქმის მოვიშუშე და უკვე ვვარჯიშობ თსუ-ში“ — გვითხრა საყვარელიძემ. თითქმის თსუ-ელად შეგვიძლია მოვიხსენიოთ ლევან ქარაბაგიც, რო-



კახა შენგელიამ უნივერსიტეტში „ჩააბარა“

მელიც ჯერაც მკურნალობს და ვარჯიშს ამ დღეებში განაახლებს. ქარაბაგი წინა ჩემპიონატის შუა ხანებში გადაიბირა „ბასკომ“ თსუ-დან და ახლა ბევრი აღარაფერი უკლია ამ ყოჩალი მეფარის ძველ გუნდში დაბრუნებას. „გადაჭრით ვერ გეტყვით, თსუ-ში ჩავირიცხები თუ არა, მაგრამ სიტყვიერი შეთანხმება უკვე მაქვს ამ კლუბის უფროსებთან. დღეს შეიძლება ითქვას, რომ თსუ-ელი ვარ, მაგრამ სანამ კონტრაქტს არ გავაფორმებ, ამის ხმამაღლა გამოცხა-

დება არ მინდა“ — ფრთხილობს ქარაბაგი. მამ ასე, თსუ-ს წლეულს ალბათ „ბასკოს“ წინა ხაზი ეყოლება შენგელია-ქარაბაგის სახით, რომელსაც სტუდენტთა ვეტერან ამროსი ორმოცაძეს, ყოჩაღ ვალერი კილაძეს, ირაკლი მაისურაძესა და ახალწვეულ დავით საყვარელიძესაც რომ დაეუმატებთ, მართლაც შეეძლო გუნდი გამოევა. თსუ-ში კი ბიუჯეტის გაზრდას ელიან და თუ მოახერხეს, ლეგიონერებსაც ჩამოიყვანენ.

ირაკლი პერტაია

რუსთაველი აზოტის აორთქლდა სპონსორი კი არა, სპონსორი!



ოთარ ხმელიძე

საქართველოს ჩემპიონატში „აზოტის“ დროება დასრულდა, რუსთაველთა კლუბს მომავალი სეზონიდან ახალი სახელი დაერქმევა. სავარაუდოდ, „რუსთავს“ ცნობილი ამბავია, რომ ქარხანა „აზოტს“ რუსები დაეპატრონენ, ისევე როგორც ამ გიგანტ-საწარმოს ირგვლივ შექმნილ საზოგადოებრივ თუ სპორტულ ორგანიზაციებს. „აზოტის“ საკალათბურთო გუნდსაც ჩრდილოელების მოსვლის შემდეგ შეუდგა წყალი. ჯერ თქვეს, საერთოდ არ გვინდა კალათბურთი, მერე კი რუსებმა მცირე, საარსებოდ უკმარი ბიუჯეტი გამოუყვეს ხმელიძის გუნდს. რუსთაველი ქომაგი ალბათ ბევრ რამეს აიტანს, უამბიციობას კი ვერა. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელებიც მიდგნენ, მოდგნენ და „აზოტს“, უფრო სწორად, ყოფილ „აზოტს“ ახალი სპონსორები გამოუნახეს. რუსთაველი კლუბი წელში გაიმართა და მომავალ სეზონშიც უწინდელზე არანაკლებ ძლიერი იქნება.

დავირქმევით, გვითხრა ქვემოქართლელთა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ, რომელმაც მისი გუნდის ახალი მენეჯერებიც გაგვაცნო. მოგეხსენებათ, რა ძნელია დღეს კარგი სპონსორის შოვნა, მით უფრო იმ საქმეში, საიდანაც მოგებას ვერ ნახავ (ქართული კალათბურთი სწორედ ასეთია), მაგრამ როცა ხელისუფლება ჩაერევა საქმეში, იქ ბევრი რამაა შესაძლებელი — რუსთავის მერ მერაბ ტყეშელაშვილისა და ქვემო ქართლში პრეზიდენტის იმჟამინდელ რწმუნებულ ლევან მამალაძის „რეკომენდაციით“ ხმელიძის გუნდს უმაღლესი სპონსორი გამოუჩნდა. საწარმოებმა — „მადნეულმა“, „თუჯმა“, „ცემენტმა“ და „კვარციტმა“ რუსთაველი კლუბის დაფინანსება იკისრეს. „დიდი მადლობა ქვემო ქართლის ხელმძღვანელობას, მათი ძალისხმევით ჩვენს კლუბს პატრონები გამოუჩნდნენ. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ქარხანა „ცემენტის“ დირექტორ გიორგი სალაყაი-

ას, რომელმაც სხვა საწარმოებიც აიყოლია და ყველაფერში გვერდში გვიდგას. ცხადია, „აზოტი“ აღარ გვერქმევა, როგორც ითქვა, საყვარულად „რუსთავს“ დავირქმევთ და მაისურებზე ჩვენი სპონსორების სახელებს დავიწერთ. სახელის საკითხს საბოლოოდ მოგვიანებით მოგვეგვარებთ, მთავარი კი ისაა, რომ მთლად უამბიციო და ღარიბი გუნდი არ გვეყოლება“ — გვითხრა ოთარ ხმელიძემ. რუსთაველ კლუბს ქარხანა „აზოტმა“ მხოლოდ ის შეღავათი გაუწია, რომ საკალათბურთო დარბაზი დაუთმო, რომელიც ქარხნის უწინდელმა ხელმძღვანელობამ საგანგებოდ გაარემონტა ამ ზამთარს. როგორც რუსთაველთა თავკაცმა გვითხრა, მის გუნდს თუ უწინდელზე მეტი დაფინანსება არ ექნება, არც არაფერი დააკლდება. „თუ ახალი მენეჯერს სერიოზულ შედეგებს არ მოგვთხოვს, მივსვლი, გუნდში ჩემი რამდენიმე უმცროსი აღსაზრდელი ვათამაშო — ამბობს ხმელიძე — ისინი კარგ გამოცდილებას მიიღებენ და სამომავლოდ გამოგვადგებიან. თუ არადა, ვეცდებით, ის მოთამაშეები შევიმატოთ, რომლებიც ჯერაც უგუნდოდ არიან.“ რუსთაველ კლუბს ახალი პრეზიდენტი ეყოლება, საწარმო „კვარციტის“ დირექტორი ზურაბ ლობჯანიძე.

ირაკლი პერტაია



მურაო — გაურა ბუნოსი პეარ არის

ამ პარასკევ-უქმებზე ესპანურ მალაგასა და ავსტრალიურ მელბურნში წლებადღეი დევისთასის ნახევარფინალური შეხვედრები ჩათამაშდება. ესპანური არმადა ხმელთაშუა ზღვისპირული სახურუმეთი უგილერმოკორიო და უდავიდნაღბანდიანო არგენტინას მიიღებს, თასის 27-გზის მფლობელი ოზები კი როჯერ ფედერერის მიერ ნაყოჩარ შევიცარიას უმასინძლებენ

მუჩაჩოთა და გაუჩოთა შიდაესპანურენოვანსა და შიდასათიხნარო კუჭნობას მიღეთი გამორჩეული ინტერესით მოელოდა, რაკილა ამ ამბავში ჩოგანი მსოფლიო ზეათეულის ერთბაშად ოთხ მეჩოგნეს უნდა გაეჭნია. მაგრამ, როცა გაირკვა, რომ რეიტინგის მე-5-ადგილოსანი კორია და მასზე ოთხი ადგილით ქვემდგომი ნალბანდიანი

ტრავმიანობის გამო კელარ იჩოკნავებენ, ამ შეხლისადმი ინტერესი მცისვე განელდა.


ცხადია, რომ ამქრის ამჟამინდელი პირველოსანი ზუან კარლოს ფერერო, ოდინდელი პირველოსანი და ახლა ზეათეულის მე-5-ადგილზე მდგომი კარლოს მოია — ვეტერან სიძე-მეჯეკარესთან აღკოსტასა და ალექს კორეჩასთან

ერთად შესუსტებული არგენტინოსთვის მალაგიდან არაფრის გამტანებლები არ არიან.


კორიასა და ნალბანდიანს გასტონ გაუდინიო და მარიანო საბალეტა ჩაქნაცვლებიან, კოსტა-კორეჩას წყვილს კი ლუკას არნოლდისა და აგუსტინ კალიერის ვაუფთი შეერკინება.

შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრები ფინალში 1981 წლის შემდეგ აღარ გასულა, ესპანელებმა კი თავიანთი პირველი და უკანასკნელი ტიტული 2000 წელს მოიპოვეს.

ახლა მეორე მატჩს რაც შეეხება: ავსტრალიელებს ნიჭიერი მეოგნეებისა და მელბურნელი ქომაგე-



ლეონორ პიუეტი




როჯერ ფედერერი

ბისა ეიმედებათ. ალბელთა უმთავრესი თულფი კი ხელთ წლევენდელ უიმბლდონის მათხარ როჯერ ფედერერს უპყრია. ფედერერის ალაგმვას მის მიერ უიმბლდონურ ფინალში ძლეული მარკ ფილიპუსისი და წლეულს თუმც ჩამოლაბორანტებული, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთთავად დევისთა-


სზე მეოცნებე ლეონორ პიუეტი ეცდებიან. შეხლის ბელიც სწორედ მათ დაპირისპირებებში უნდა გადაწყდეს, რაკილა მასპინძელთა მიერ მსოფლიოს 129-ე მეჩოგნის, მიხელ კრატოზვალის, 166-ე ივო პიობერერისა და 233-ე ჯორჯ ბასტლის გაბითურებაში ეჭვი არავის შეაქვს.

ბარლო ბოგოლი


პელორიპოლა



ერიკ ცაბელი



ალესანდრო პეტაჯი



ისიდრო ნოსალი

XI მტავი 17 სექტემბერი
უტიელი - კუენსა 162 კმ
1 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი) 3 სთ 14 წთ 59 წმ
2 ტომ ბუნენი (ბელგია, ქუიქსტები)
3 ანხელ ედუ (ესპანეთი, მილანეზა)
4 ალესანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე)
5 ფრანსისკო მანჩეზო (ესპანეთი, იბანესტო) ყველა იგივე დრო

XII მტავი 18 სექტემბერი
კუენსა - ალბასპეა 168 კმ
1 ალესანდრო პეტაჯი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3 სთ 41 წთ 49 წმ
2 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 ფრედ როდრიგესი (აშშ, ვინი კალდეროლა)
4 ალესანდრო ბერტოლინი (იტალია, ალესიო)
5 რაფაელ შედეა (გერმანია, ბიანჯი) ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა
1 ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) 40 სთ 54 წთ 29 წმ
2 იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ეროსკი) + 1 წთ 48 წმ
3 მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, US პოსტალი) + 3 წთ 3 წმ
4 რობერტო ერასი (ესპანეთი, US პოსტალი) + 3 წთ 28 წმ
5 ფრანსისკო მანჩეზო (ესპანეთი, იბანესტო) + 3 წთ 40 წმ

სოტა ჩვენს გვინდა

მაგამ რომ გვიღაბს ჯარ ცალ-ცალხა მიანოდა, მარე ერთად, ის არის

რაც უფრო ეშში შედის ვუელტა, მით უფრო უჭირთ მასპინძელ ესპანელებს პოდიუმზე ფეხის შედგმა. არადა, რბოლა ისე დაიწყო, ეტაბი არ ჩაივლიდა, საფინიშო სამეულში ესპანელი არ შესულიყო. ბოლო სამი ეტაბი, მასპინძელი მრბოლისთვის მხოლოდ ერთხელ გამოინახა პოდიუმზე ადგილი და ისიც ყველაზე დაბალ საფეხურზე ესპანელები ძალიან შევიწროვეს გერმანელმა ერიკ ცაბელმა და იტალიელმა ალესანდრო პეტაჯიმ. პირველმა, რომ იტყვიან, აიწყვიტა და მიჯრით ორი ეტაბის მოგების შემდეგ წამის მგაყუდი დააკლდა, კარიერაში მერ სავუელტო ეტაბი რომ მიეთვალა. ამაში 33 წლის ცაბელს ხელი პეტაჯიმ

შეუშალა, რომელმაც წლევენდელ შთამბეჭდავ ნადავლს — ჯიროზე ექვს, ხოლო ტურ დე ფრანსზე ოთხ მოგებულ ეტაბს მესამე ესპანური მიაცილა. მართალია, ბოლო დღეებია ესპანელი სპრინტერები ძველებურად ველარ ჩაუქობენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთო ჩათვლაში მათ ბატონობას წყალი შეუდგა. ისიდრო ნოსალი, იგორ გონსალეს გალდეანო და მანუელ ბელტრანი ბევრითად ასრულებენ პროგრამა-მინიმუმს, რბოლისას ლიდერებთან შორიხლოს ტრიალებენ და ამით საერთო ჩათვლაში მდევრებს ახლოს არ იკარებენ.

ბარო სვანიძე



ალესანდრო ძანარდი საშინელმა კატასტროფამაც ვერ გატეხა

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამგაბათს,
ოთხგაბათს, ხუთგაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოთხვაძე
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრაძე
რედაქტორის მოადგილე სოსო კოჭორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია დაკითხვითი მისამართი: კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიოა ხელიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუენაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გორგობანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალისვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგვის გამზირი 42, II
ქორაპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
წათი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@vol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbili.com.ge